ყოველ კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 3. 1920 წ. კვირა, მარტის 21, წელიწადი პირველი № 3.

ფასი 3 მან.

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-
სალიტერატურო გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„**სასოფლო გაზეთში**“ მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნეები.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ცალი 3 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე, მისამართი დამფუძნებელ კრების ქ. № 5, „საქართველო“-ს ბინაზე.

ბათუმი

- ბათუმი საქართველოს გულია!

ბათუმი საქართველოს კარია!

ბათუმი ძვირფასია და არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ქვეყნიერობისათვის.

მოაშორეთ ბათუმი საქართველოს—საქართველო დაიცარიება მისი სიცოცხლე დაიშრიტება.

ბათუმზე, როგორც არაკებში ნათქვამ ნატვრის თვალზე, თვალი უჭირავს ყველა ჩვენ მტერ-მოყვარეს, ყველა გამვლელ-გამომვლელსა და გადამთიელს!

იციან ბათუმის ფასი!

მაგრამ ჩვენც ვიცით ვაჟკაცობის ფასი და მახვილის ჩაცემა მტრის გულში არა ზურგს უკან, ყიზილბაშურად, როგორც გვიშვრებიან ჩვენი მოსისხლე მტერი—ოსმალეთი, ჩვენი ვერაგი მეზობელი აზერბაიჯანი და ცბიერი მოკავშირენი, ერთპირად რომ შეთქმულან ჩვენს წინააღმდეგ!

ორი წლის წინედ ჩვენ, მოუმზადებლებმა და მოუწყობლებმა დავკარგეთ ბათუმი, მაგრამ არა სრულიად! ჩვენ გვქონდა იმედი რომ ბათუმს დაგვიბრუნებდით ინგლისის ხელით, ჩვენი მეზობლების დახმარებით და ჩვენი მარჯვენით!

მაგრამ საქართველოს არასოდეს არ ჰყოლია მფარველი გარდა ღვთისმშობლისა!

საქართველოს არა ჰყოლია მეზობელი და ძმა, გარდა მტრისგან მუხანათურად აპრიალებულ ხანჯალისა!

მაგრამ საქართველოს ჰქონდა მარჯვენა რომელსაც დღემდე ვერავინ ვერაფერი დააკლო!

საქართველო სისხლით დაცალა დიდმა ომიანობამ, ძალა დაუშრიტა ამდენმა სიმშილმა, საქართველოს თალხი ჩააცვა—გორის უბედურებამ ქართლის ცრემლმა და ვარამმა!

ახლა უნდა ჩაგვაცვან შავები ბათუმზე!

ახლა კიდევ უნდა გვატირონ!

მაგრამ არა დროს!

საქართველოს ხანგრძლივ ცხოვრებაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ გულ-ხელი დაგვეკრიფოს და მტრისთვის შესაფერი პასუხი არ გაგვეცეს!

ქართველ ხალხს არა სჩვევია სილაჩრე! სახელოვანი სიკვდილი ურჩევნია ნაძრახს სიცოცხლეს!

გაიგონ დიდმა მოკავშირე სახელმწიფოებმაც, რომ ჩვენ დაკარგული ხალხი არა ვართ და თუ მათ აქვთ იმდენი კეთილშობილება მიჰხვდებიან ჩვენ ხმას, ჩვენს მოთხოვნილებას!

გაიგონ ჩვენმა დაუნდობელმა მეზობლებმაც, რომ ჩვენ აღარ გვჯერა მათი არაკები და მათი შავი გულისა და თეთრი კბილისაც—აღარაფერი!

ქართველო ერო! ღვთისგან შეყვარებულო, მაგრამ ადამიანისაგან განწირულო!

ქართველო ხალხო! მუდამ ობოლო, მაგრამ მუდამ ვაჟკაცო და გმირო!

ეხლაც იყავი მარტო და ამაყი!

ჩაიცვი წვრილთვალა რკინა და თუ გაგიჭირდა ხმალ-ამიშვლებულმა ბათუმთან მტერს მკერდი მიუშვირე!

მტერი მრავალია, მაგრამ შენ მხარეზეა ღმერთი და სამართალი.

მე ვიცი შენ არ დაიკვნესებ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენს გაბრაზებულ ხმალს ვერავინ ვერ გადაურჩება! დგება დრო მოიგონო მამაპაპური სიამაყე და სამშობლოსათვის თავგანწირვა!

ბათუმი ჩვენია!

ბათომს გვართმევენ?

ვერ გაიგეთ ქართველებო რომ ბათომს გვართმევენ?

მერე იცით რა არის საქართველოსთვის ბათომი?

ბათომი ხომ თქვენი მამულდედულის კარებია და გასაღები ხომ შენ მამაპაპას დიდი სისხლის წვიმების შემდეგი შენ ჩაგაბარა, როგორც თქვენ კარმიდამოს გასაღები თქვენ გაქვთ დღეს ხელში.

რომელი თქვენგანი გადასცემს ამ გასაღებს სხვას თავის ოჯახის დასალუპავად. პასუხი ერთია—არავინ.

ან რომელი ჰკუათა მყოფელი, თუ არ ოხერი, და თავზე ხელ აღებული, მოვა და მოგთხოვთ ამ გასაღებს და თქვენ დაუკითხავად შეაღებს ამ კარებს შენ კერაში. დღეს კი ასეთი თავზე ხელ აღებულები ბევრი გამოგვიჩნენ - ტკბილი სიტყვით და შავი გულით ცდილობენ ხელიდან გამოგვაცალონ ეს გასაღები.

განა ჩვენ მამაპაპათ იმიტომ ჩაყარეს ძვლები ბათომის დასაცავად, რომ ჩვენ ასე ადვილად დაუთმოთ ამ შარა გზაზე გამოსულ ყაჩაღებს მზისით დღისით? ან იქნება ჰგონიათ ჩვენ მტერ მოყვარეთ, რომ ქართველმა ხალხმა მამაპაპათა ანდერძი გასტეხოს?

ან სიტყვის გატეხას სჩვეოდეს როდისმე ქართველი?

ან ბრძოლის ველი ევიწროებოდეს?

ან მკლავში ძალა გამოლეოდეს?

ან „ნაძრახს სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი“ არ არჩიოს?

არა ჩემო ძმაო, ეს ყველაფერი კარგად ესმით ჩვენ მტრებს იციან, რომ ქართველი ხალხს სულ მუდამ გაუკრავს ხელი ხმალზე, როცა კი მის მამულს განსაცდელი მოსდგომია კარს და თუ კრწანისის ველზე ომი წაგებულა ალბად მაშინ ციხე შიგნიდან გამტყდარა. აი აი მტერს რის იმედი აქვს და რისთვის გვთხოვს ბათუმის კარების გასაღების გადაცემას!

მაშ ამ უკანასკნელ გზასას, რომ დაკარგავს ჩვენი მტერი რის იმედილა ექნება?

არაფრისა!

მაშ რაღა დაგვრჩენია დღეს ჩვენ ყოველ გზით გამარჯვებულებს. ამ ციხეს გაუფრთხილდეთ. ვერავითარი იარაღი და გმირული თავგანწირვა ვერას გვიშველის თუ ერთი პირი არ გვექნება დღეს განურჩევლად ერისაცა და ბერისაცა...

ბათომს გვართმევენ? ვერ მივართვი ჩვენ უკვე მტკიცე პირი შევკარით...

ციხეს შიგნიდან ვერავინ გაგვიტეხს!..

დ. პავლიაშვილი.

ჩვენ უ ბათუმოდ ვერ გავძლებთ,
გულში ჩავიცემთ დანასა:
ნეტა ვიცოდე მოგვცემენ
რამეს, ბათუმისთანასა!

რა არის თავისუფლება

თავისუფლება ზოგს სულ ბუნდოვანად ესმის,

ზოგი ამბობს: თუ მე თავისუფალი ვარ, მაშ ყველაფერი შემიძლიანო. შემიძლიან ამას დავეცე, ის მოვკლა, იმას წავართვა... ვინ დამიშლის—თავისუფალი ვარო?!.“

არა, სულ ეს—ცუდკაცობაა და ბოროტ-მოქმედება·

თავისუფლება სულ სხვა არი. ჩაუკვირდეთ თვითონ სიტყვას. იგი შედგება ორის სიტყვისგან: თავის უფლება. ესე-იგი—უფლება თავისთავზე.

თავისუფალია ის, ვისაც არა ჰყავს სხვა უფალი, სხვა ბატონი, გარდა თავისივე თავისა.

უწინ, ბატონ-ყმობის დროს მაგალითად, იყო ბატონი და იყო ყმა, ერთი ადამიანი ბატონობდა მეორეზე. ახლა ყველა თავისუფალია და თანასწორი. ეხლა ერთი ადამიანის ბატონობა მეორეზე შეუძლებელია და აკრძალული.

უწინ, რუსების ბატონობის დროს, მთელ საქართველოზე ჰბატონობდა რუსეთი. რუსეთი ჰნიშნავდა მმართველებს,

კვირიდან კვირამდე

მოკავშირეთა უმაღლეს საბჭომ ქ. ბათომი თავისუფალ ნავთსადგურად გამოაცხადა.

ამის გამო პარასკევს, თბილისში და სრულიად საქართველოში მუშაობა შესწყდა და დიდი მიტინგები გაიმართა.

ხალხი დაჟინებით მოითხოვს ბათომი დაგვიბრუნდეს.

გერმანიში დიდი კონტრ-რევოლუციაა.

ბოლშევიკებმა აიღეს ქ. ქ. პიატიგორსკი, გეორგიევსკი და არმავირი. მოხალისენი გარბიან.

კონსტანტინეპოლი მოკავშირეთა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს.

მარტის 14-ს კავკავიდან თბილისში მიიღეს პური საქართველოსთვის ოცდა ხუთმეტი ათასი ფუთი.

მოსამართლეებს და სხვა მოხელეებს; რუსეთი გვახდევინებდა ხარჯს და ბეგარას, რუსეთს გაჰყავდა ჯარის კაცები და ქართველების სისხლი იღვრებოდა უცხო ქვეყნებში...

ახლა სულ ეს შეიცვალა, საქართველოს არა ჰყავს სხვა უფალი, სხვა ბატონი, გარდა თავის თავისა: იგი—თავისუფალია.

* * *

ამიტომ საქართველოს ეხლა თვითონ შეუძლიან მოაწყოს თავის ცხოვრება ისე, როგორც თვითონ ჰსურს.

აგრეთვე თითეულ ადამიანს სრული ნება და უფლება აქვს თვითონ მოაწყოს თავის ცხოვრება თავის სურვილით.

ყველას შეუძლიან იაროს, იმუშაოს, იფიქროს, სწეროს, ილაპარაკოს, ერთის სიტყვით, აამოძრაოს თავის ჯანი, გული და გონება, ისე, როგორც თვითონ უნდა.

წინ ვერავინ გადაეღობება.

ვერავინ დაუშლის, ვერ აღუკრძალავს, ვერ დაიჭერს, ხელს ვერავინ შეახებს.

ასეთ ყოფაშია ყოველი ადამიანი ყოველი მოქალაქე თუ ყველას აქვს ამნაირი უფლება, აშკარაა, ჩვენც ვერავის შევეხებით: ყველა, სწორედ ისე, როგორც ჩვენ, ჩვენსავით თავისუფალია და ხელშეუხებელი.

ამიტომ შეუძლებელია ითქვას: „მე თავისუფალი ვარ და ამიტომ შემიძლიან ვისაც მინდა თავში ჩავკრაო“.

პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ყველა თავისუფალია—ყველაც ხელშეუხებელია, და მეც უფლება არა მაქვს ვისმე რაიმე წყენა მივაყენო, როგორც სხვას არა აქვს მომაყენოს მე წყენა და ზიანი.

აი ეს არის თავისუფლება. იგი არის ადამიანის ღირსების დაფასება და ერთიმეორის ღრმა პატივისცემა.

იქ, სადაც არ არის თავისუფლება, ადამიანსაც არ აფასებენ და არა აქვთ გაგონება ადამიანის ღირსებისა. სადაც ადამიანს არ აფასებენ და არა აქვთ მისი პატივისცემა, იქ ადამიანს ეპყრობიან, როგორც პირუტყვს, და ხშირად მათრახსაც ატრიალებენ. რუსეთში არ იყო თავისუფლება და მათრახსაც დიდი გასავალი ჰქონდა.

ეხლა საქართველო თავისუფალია, ჩვენც თვითეულად თავისუფლები ვართ, მაგრამ ძველმა მონობამ თავისი კვალი დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში. ჯერ თავისუფლება განმტკიცებული არ არის: არ ვიცით ერთიმეორის პატივის ცემა და ზრდილობიანი მოქცევა.

დღევანდელი კომისარიც ან სხვა მოხელე ხშირად იქცევა უხეშად და უდივრად. იმასაც არა აქვს შეგნება, რომ დღევანდელი ადამიანი თავისუფალია და ხელ შეუხებელი.

კომისარი კი არა, თვითონ მინისტრიც რომ გამოვიდეს, იმასაც არა აქვს უფლება უკანონოდ ვინმე დაიჭიროს ან რაიმე ზიანი მიაყენოს ვისმე. მინისტრი მხოლოდ ხალხის მოსამსახურეა, უნდა აასრულოს მხოლოდ კანონი და ემსახუროს ხალხს.

მინისტრს აქვს დიდი უფლება ბრძანებისა და გამგეობისა, ყველა ვალდებული ვართ დავემორჩილოთ იმას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა იგი კანონიერად და სინიდისიერად იქცევა. თუ უკანონოდ იქცევა, მინისტრიც კი შეიძლება მივცეთ პასუხისგებაში.

უმთავრესი კანონი კი, რომელიც მინისტრმა უნდა აასრულოს, არის დაცვა თავისუფლებისა.

ამიტომ ეხლა ყველას შეუძლიან თქვას:

—„მე საქართველოს მოქალაქე ვარ, მაშასადამე, თავისუფალი და ხელ-შეუხებელი“.

გ. გ.

უომრობა და შინ ყოფნა
რა რიგად მომეწყინაო;
დედავ გამიშვი ბათუმში
ავაპრიალო რკინაო!

გაჭირვებული სოფელი.

ჩვენი სოფელი მუდამ დიდ გაჭირვებასა და სიღარიბეში იყო.

ბატონყმობა და რუსების შემოსვლა საქართველოში—იყო ორი თავი და თავი მიზეზი ჩვენი სოფლის დაბეჩვებისა.

მიუხედავად ასეთ უიღბლობისა, ჩვენმა სოფელმა კიდევ მოაღწია საქართველოს განთავისუფლებას.

რასაკვირველია, ახლა ჩვენი სოფელი პირდაპირ წარმატების გზაზე უნდა დადგეს და გადოვლათიანდეს, რადგან მას ხელს აღარ უშლის, არც ის კრული ბატონყმობა და არც დაწყევლილი და შავად მოსაგონარი რუსეთის მონობა.

მაგრამ ჩვენი სოფელი, ამ ჟამად ისეა დასუსტებული და სახე-დაკარგული, რომ ძალაუნებურად თავს ათასი საშინარი ფიქრი დაგვტრიალებს.

უპირველესად, სოფელი დაეცა გაირყვნა, ძველი, კეთილშობილური ზნეობა გამოიცვალა.

მუდმივმა „მობილიზაციებმა“ და სალდათობამ გარყვნა სოფლის ცხოვრება.

გაჩნდა სოფელში უსაქმო ხალხი, რომელიც უფრო გაამრავლა რუსეთის რევოლუციამ. ამ უსაქმო ხალხმა დაჰგმო თავისი ძველი ადათი, დაიწყო ცრუ ქადაგება და მღვრიე წყალში თევზების ჭერა.

სოფელს ამით, გარდა ომში დახოცილების გამონაკლისით, მშრომელი მარჯვენა გამოაკლდა.

ამ უსაქმურმა ბრბომ მალე ჩარჩობა დაიწყო, შეჰკრა ყველა გზები და პურსა და ყოველნაირ სურსათს სიძვირის ცეცხლი მოუკიდა.

პატიოსან შრომას ფასი დაეკარგა.

პატიოსან ადამიანს კიდევ პატივი!

ჩარჩებმა სოფელი ბადეში გახვიეს და თავის გულ-ნებაზე დაიმორჩილეს!..

სოფლის ოფლით დღეს ისინი სარგებლობენ და მდიდრდებიან:

სიღარიბე თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენში. სოფლის ხალხი კი ვეღარ უძლებს მას და ქალაქში გამორბის.

ქალაქში სამიკიტნოებში და სხვების მოჯამაგირობაში ირყვნება და მერე თავის სამშობლო სოფელში, ბრუნდება სამიკიტნოს გარყვნილი ცხოვრებით და ქალაქის მრავალი საშინარ ავადმყოფობით!

ვერ იქნა და ვერ დაგროვდა ჩვენ სოფელში დოვლათი, რადგან იგი ჩარჩის ქისაში გადდის.

მეურნეობაც ეცემა. თავი და თავი საბაბი ამისა, არის უმამულობა და მერე უცოდინარობა.

მამაპაპური გუთნები დღეს ისევ ხმარებაშია, გლეხმა დღემდე არ იცის, რომ კარგ მოსავლის მოსაყვანად უნდა კარგი, სალი, გარჩეული თესლი დასთესოს!

რომ ვაზი გასხლა რიგიანად და დროზე გოგირდ-შაბიამანი უნდა შეაშველო!

რომ ალებ-მიცემობას, სწავლა განათლებას უნდა მიჰყო ხელი და მკითხავებსა და ყოველნაირ მავნე ცრუმორწმუნეობას თავი დაანებო!

არც ერთი ეს სოფელმა არ იცის და იგი ღვთისანაბარად არი დარჩენილი.

მაგრამ მარტო სოფელი ვერას გახდება, თუ მას არ ვაუძღვა მცოდნე ადამიანი—ჭრაქით ხელში.

ნასწავლმა საზოგადოებამ, ვისაც კი გული შესტკივა მამულისათვის, უნდა მოიგონოს და შეიცოდოს სიბნელეში ჩაჭედილი სოფელი, უნდა იზრუნოს მისთვის.

უნდა მთავრობამაც მოჰხედოს გლეხს რომელიც მუდამ საწყალია და ბეჩავი უსიტყვოდ, უხმოდ ზის ურემზე და მსხვერპლი ხდება უგუნურობისა და უვიცობისა.

საქართველო მაშინ იქნება ძლიერი და ღონიერი, როცა სოფელი მდიდარი და დოვლათიანი იქნება.

მისი სიცოცხლე—სოფელია და მისი საზრუნავიც სოფელი უნდა იყოს.

ნინია კახაბერი.

ჩვენ შევეწირნეთ ბათუმსა,
შაბუკი მინდა მხცოვანი;
ხჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
ხიკვდილი სახელოვანი!

სასოფლო მეურნეობა

კარტოფილი და მისი მოვლა მოშენება

სამას წელიწადზე მეტია რაც კარტოფილი პირველად დაითესა.

ამ ჟამად კართოფილის მოყვანა მთელ ქვეყნიერების პირზე ძალიან არი გავრცელებული. მისი მნიშვნელობა თითქმის იგივეა, რაც ხორბლეულ მცენარეებისა.

კართოფილი იხმარება საჭმელად, ამისგანვე აკეთებენ ფქვილს და სახამებელს. კართოფილისგან ჰხდიან სპირტეულს. ერთი სიტყვით მისი სარგებლობა მრავალმხრივანია და მასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა სხვა მცენარეებში.

კარტოფილის უპირველესი სამშობლო იყო ჩრდილო ამერიკა., საიდანაც მთელ ქვეყნიერების ზურგზე გავრცელდა. სულ პირველად კართოფილი გერმანელებმა გადმოიტანეს თავიანთ ქვეყანაში. აქედან სხვა სახელმწიფოებმაც გადმოიტანეს და ახლა არც ერთი სახელმწიფო არ არის, რომ მის მოვლა-მოშენებას არ მისდევდნენ.

კართოფილი არის აღრეული, საშუათანო და საგვიანო. ასევე გაიყოფება მისი ხმარება: ადამიანის საჭმელი, საქონლის საჭმელი და საფაბრიკო კარტოფილი. გაიყოფება აგრეთვე ფერისა და სიმსხოს მხრივაც.

კართოფილის კარგი თვისება ის არის, რომ იგი ყოველნაირ მიწაზე გვარობს.

უფრო კი ძალიან გვარობს ქვიშნარზე და თიხ-ნარევ მწაზე.

ნოტიო ნიადაგი ხელს უწყობს კართოფილის ყოველნაირ ავადმყოფობათ. რამდენადაც მიწა მშრალია, იმდენად კართოფილი უფრო მდიდარია სახამებლით, რადგან ამ გვარ მიწაში მოყვანილ კართოფილს წყალი ნაკლებადა აქვს.

კართოფილი გვარობს თითქმის ყოველნაირ მცენარეთა დათესვის შემდეგაც ის ზედიზედ შეიძლება ითესოს, თუ მიწას კართოფილისთვის საჭირო საზრდო მოეპოვება. (ერთი წლიდან სამ წლამდე) კართოფილი ძალიან ჰგვარობს ახლად გატეხილ ტყეში და მინდორ-ველებში.

კართოფილის სასუქად იხმარება საქონლის პატივი და აგრეთვე ხელოვნური სასუქი-ამისთვის ნაცარი ერთ უკეთეს სასუქად ითვლება. კართოფილისთვის საჭირო მიწა უნდა კარგად დამუშავდეს, უმჯობესია შემოდგომითვე ღრმად მოიხნას, გაზაფხულზე აიჩეჩოს დაილბოს და ისე დაითესოს. სასუქი უმჯობესია შემოდგომითვე მოხვნის დროს მოვაყაროთ და ჩავახნათ.

სათესლედ მუდამ კარგათ მომწიფებული შემოსული კართოფილი უნდა ვიხმაროთ.

ზამთარში გალივებული კართოფილი სათესლედ სახმარისი არ არის, რადგან ამ გვარ კართოფილს ის ძალა, რომლითაც მან მიწაში გალივების დრო უნდა ისაზრდოოს, თითქმის წინათვე გალივებით დაკარგული აქვს, რის გამოც ამ გვარი სათესლე არა სასურველ მოსავალს იძლევა, ამიტომ თუ თესლში შენიშნეთ გალივებული, მაშინვე მოაშორეთ.

არც სიცივისგან გაყინული კართოფილი იხმაროთ სათესლედ, რადგან კართოფილი ძალიან სუსტია სიცივის წინააღმდეგ და ისე იწყებს გაყინვას ამიტომ სათესლე კართოფილი უნდა შეინახოთ შესაფერ ალაგას, რომელიც სიცივისა და სინოტიოსაგან კარგად უნდა იყოს დაცული.

სათესლედ მუდამ მსხვილი კართოფილი უნდა ვიხმაროთ, თავის ჯიშთან შედარებით, რომელსაც ზედ არ ნაკლებ 1—10 ჩაღრმავებულ თვალამდი უნდა ჰქონდეს. ამიტომ, რა წამს კართოფილს შემოდგომით მიწიდან ამოვიღებთ, მაშინვე უნდა ავარჩიოთ მსხვილი და სალი კართოფილები და სათესლედ ცალკე უნდა შევინახოთ. ეს გადარჩევა არა თხოულობს დიდ დროს, მაგრამ კი სარგებლობას კი მოგვიტანს თვისი კაი თვისებით, შეგიძლიანთ მსხვილი კართოფილი შუაზე დასჭრათ და ისე დათესოთ, მხოლოდ მასაც ცოდნა უნდა. კართოფილი უნდა გაიჭრას სიგანეზე, ანუ შუაზე რადგან თვალები ერთ მხარეს რჩებიან და გალივებისთვის საჭირო საზრდო კიდევ ცალკე. თუ ამ რიგად გაიჭრა, ხშირად კართოფილი არ ამოდის, ან თუ ამოვა ძალიან ულონო მცენარე იქნება და ნაკლებ მოსავალსაც მოგვცემს.

საერთოდ ყველა მცენარეს აქვს თავი, ბოლო ან წვერი. ავიღოთ კართოფილი დავაცქერდეთ და დავინახავთ, რომ მას ერთი თავი მომსხო აქვს, მეორე კი მოგრძო, რომელზედაც ემჩნევა პატარ-პატარა ჩაღრმავებულები ანუ ფესვები.

(დასასრული იქნება)

აგრ. რევაზ გედევანიშვილი.

კომბოსტო.

კომბოსტო რომ დიდი მასაზრდოებელი და სამკურნალო მცენარეა,—ეს ჩვენმა გლეხმა არ იცის. რო იცოდეს, ის

შეუდგებოდა კომბოსტოს მოყვანის გაძლიერებას მაგრამ საქართველოში, მეტადრე ქართლ-კახეთში ისე არ მისდევენ კომბოსტოს მოყვანას როგორც არი საჭირო,

მეტად ნაყიერია კომბოსტოს შემდეგი ჯიშები: თეთრი, მწვანე და უფრო კი ყვავილიანი კომბოსტო.

კომბოსტო მეტად შესარგი მცენარეა და მეტად ნაყოფიერი.

ევროპის გლეხი მისი წვენით („სუპი„) იკვებება: უფრო კი, რუსეთში არის გავრცელებული კომბოსტოს მოყვანა, სადაც თვითეულს გლეხს წლის სამყოფი და გასასყიდიც კი მოჰყავს კომბოსტო.

მეცნიერების აზრით კი, ნორჩ კომბოსტოს პირდაპირი სამკურნალო თვისება აქვს მეტადრე ფილტვებით ავადმყოფისა და სუსტ აგებულების პატრონისათვის.

ჩვენში ეს არ იციან და არც დაზვიდევენ.

დაჟინებითა ჰხმარობენ კომბოსტოს მწნილს—მჟავეს და დამარილებულს, რომელიც ყოვლად უსარგებლოა და ზარალის მეტი არა მოაქვს რა ადამიანისთვის.

ურჩევდით ჩვენ გლეხს აღარ ეხმარა კომბოსტოს მწნილი ისე ხშირად როგორცა ხმარობს,

კარგი იქნება დარწმუნდეს ნორჩი კომბოსტოს საზრდოობაში და იხმაროს მისი წვენი.

ჩვენმა გლეხმა საერთოდ, არ იცის თავის გამოკვება, მთელი დღე გადაგებულია ხმელ პურზე, ხოლო თუ სოფლის სამიკიტნოში შევიდა დილიდან საღამომდის ღვინოში უნდა ჩაიღრჩოს და გონება დაკარგული გამოვიდეს.

ეს უზმელობა ძალიან მოქმედობს მის ჯანზე და მისი ცოლშვილის ჯანმრთელობაზედაც.

ამიტომ რომ თითონაც პატარა ჯანი იშოვოს და მისი ცოლშვილიც ასე ფერმიხდილი და უჯანო არ დაიარებოდეს, სხვათა შორის უნდა მიჰყოს ხელი კომბოსტოს მოვლა-მოშენებას და მისი წვენით ისარგებლოს, როგორც საუკეთესო საზრდოთი.

მეურნე.

ვინ შეუშინდეს ჩვენგანი,
მტრის მოზღვავებულ ძალასა,
ბათუმისათვის სიცოცხლეს
ჩვენ დავწვამთ, როგორც ჩალასა!

მევენახეობა იღუპება!

მთელ საქართველოში დღეს იღუპება და გადაშენების გზაზე დგა მევენახეობა, რომლითაც ცხოვრობს და სახელოვნობს საქართველო.

ქართლსა და კახეთში წლეულს დიდძალი ვენახი ამოვარდა. ნავენახრებში დღეს ხორბალს სთესენ და ჩვენი გლეხობაც ვაზის მოვლაზე ხელს იღებს თანდათან-

მევენახეობის დაცემის პირველი საბაბი არის უქონლობა გოგირდისა და შაბიამნისა, რომელიც ეხლა თვალითაც ძლივსღა თუ ნახავს ვინმე და რომლის ფასებიც დღეს მამასისხლურია!

ყოველ მევენახეს არა აქვს საღსარი შეიძინოს ვაზის შესაწამლავი და მით დაიხსნას თავისი ვენახი გაჩანგებისგან.

ამას გარდა უნდა მოვიგონოთ ისიც, რომ ჩვენმა გლეხმა დღემდე ვერ შეისწავლა ვაზის რიგიანად მოვლა-მოშენება და ძველ უვარგის გზას ვერ ასცილებია.

არავითარი წარმატება ვენახის მოშენების ცოდნაში მას არ ეტყობა და რა საკვირველია, თუ ამ გზით ვიარეთ ვენახი კი არა სულაც გავჩანაგდებით.

საჭიროა ზომების მიღება მთავრობისა და დაწესებულებებისგან რომ გაიაფდეს და ადვილად შოვნა შეიძლებოდეს გოგირდისა და შაბიამნისა, საჭიროა ისიც რომ ჩვენმა გლეხმა შეიგნოს რამე განათლებულ მეურნეობისა და იმ გზაზედ შედგეს, რომლით ც მიდის დღეს დაწინაურებული და გამდიდრებული ევროპა.

თუ არა და მალე დავინახავთ ქართლსა და კახეთს მთლად გამინდვრებულსა და ამოვარდნილს!

იღუპება მევენახეობა!
საჭიროა სწრაფი ღონისძიება!

გ. გრემელი

სოფლის კალენდარი.

მარტი

ითესება:	ხახვი, სტაფილო, ნიახური, მუხუდო, წიწმატი, თვის ბოლოკი, კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი, სტაცური, პრასა, ოხრახუში, კიტრი, ნესვი, საზამთრო, გოგრა, ლობიო და სხვა ბოსტნეული. პური, ქერი, შვრია, იონჯა და სხვა საკვები ბალახები თუ ბოლქვნარი.
ვენახში-ბაღში	სხლვა, ბარვა, ჭიგოს შედგმა. ნამყენზე მყნობა, სანერგეების გადაბარვა, ხეხილების გასხვლა.
საქონელი	დასუსტებულია და ბალანსა ჰყრის. მარტის ცვალებადიანი ამინდები აციებს, საჭიროა კარგი პატიება და მერე ისე გაგზავნა გუთანში.
შინაური ფრინველი	წიწილების დრო. წიწილებს ძალიან კარგი კვება და სიფრთხილე სჭირდებათ.
მარანში	ღვინის გადაღების დროა. კარგია თუ ღვინოს წებოთიც გასწმენდამთ.
მეაბრეშუმეობა	თუთას ფოთოლი გამოუვა და ჭიის გამოყვანასაც შეუდგებით საჭიე სახლი დაასუფთავეთ, გოგირდი დაუბოლეთ და ეცადეთ თუ კარგი თესლი გაქვთ ჭია 2—3 დღეში გამოიყვანოთ და ერთმანეთში არ არიოთ.
მეფუტკრეობა	ფუტკარი ძალა მიხდილია. მშიერს უნდა აჭამოთ შაქრის წყალი, ბევრსაც დედა აკლია და დედა უნდა გაუჩინოთ, საზრდო არ უნდა მოაკლდეს. მარტში დიდი შიმშილობაა და ამიტომაც ფუტკრებში დიდი ქურდობაა, რასაც მთელი სკების დახოცვა მოჰყვება ხოლმე.

რჩევა-დარიგება.

წერილი „სასოფლო გაზეთს“

„ძალიან მეინტერესება: შეიძლება თუ არა მიწის გასანოყიერებლად ვისარგებლოთ ცხენის სასუქით?

თუ შეიძლება, რანაირად—მაცნობეთ“!

გლეხი ვანო ბროლაშვილი.

სოფ.—ი.
10 მარტი
1920 წ.

„სასოფლო გაზეთის“ პასუხი.

ცხენის სასუქი მეტად ფხვიერია და ამიტომაც მას ჰაერი ადვილად უვლის.

ცხენის ნეხვი და შარდი მდიდარია ეგრედ წოდებულ აზოტის ნივთიერებით.

სიფიცხისა და სითბოს გამო ცხენის პატივი მალე იშლება. კარგია, როცა მიწას გაეპატივებთ და მაშინვე მოჰხნავთ. სასუქი მიწაში დაიწყებს დაშლას.

როგორც გამოკვლეულია, ცხენის სასუქი მიწაში გავლენას ახდენს სრულ ორი წლის განმავლობაში.

თითეული ცხენი წლიურად იძლევა ხუთასიდან შვიდას ფუთამდის ახალ სასუქს, დამწვარს კი სამასიდან ვიდრე ხუთას ფუთამდე“.

რედაქციისაგან. ჩვენი გაზეთის მიზანია გამოადგეს გლეხს ყველაფერში, მასთან იყოს ლხინსა და ვარამში და მისი გაჭირვებაც გაიზიაროს.

ამიტომ ყოველ შეკითხვაზე და რჩევაზე რედაქცია დიდი სიამოვნებით მისცემს შემკითხველს საჭირო დარიგებას.

მეწისქვილის სიმღერა.

სვამს და ქეიფობს,
ქეიფობს, სვამს. .
არაფერს ამბობს,
არც არა სწამს!
გულ გატეხილი
ის ყოველ წამს,
როგორც ვექილი,
ერთს აღებს ბრალს:
კაცის ბუნებას
სხვა და სხვა გვარს. . .
გადაბრუნებას
და სოფლის შხამს!
მუდმივი სევდით
იმედს რომ ჰკლავს:
ის თავის ნებით
ქეიფობს, სვამს
წისქვილიც: რაკ! რაკ!
თეთრ ნალველს ფქვავს!

სანდრო შანშიაშვილი.

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურცა ვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით
მტერსაც კი გაეცინება...

უცხოეთი.

აზერბაიჯანი.

მოხალისეთა დელეგაცია.

გაზ. „გოლ. რას.“-ის ცნობით ბაქოში ჩასულა მოხალისეთა დელეგაცია პოლ. ბელიაევის მეთაურობით.

რუსეთი.

(საქართველოს დეპ შათა სააგენტ.)

ბოლშევიკების წინსვლა.

ბოლშევიკებმა აიღეს ქ. პიატიგორსკი, ქ. კისლოვოდსკი, ქ. გეორგიევსკი, არმავირი და „მინერალური წყლები“.

ოდესაში.

მოხალისეთა ნაღმოსანი უშენს ოდესას.

რუმინეთი.

(საქართ. დეპ. სააგ.)

რუმინეთის მთავრობის გადადგომა.

რუმინეთის კაბინეთი ვაი-ვოდასი გადადგა; ახალ კაბინეთის შედგენა მიენდო გენ. ავერესკოს.

ამის საბაბით ამტკიცებენ, რომ დღეიდან რუმინეთის პოლიტიკა მოკავშირეებთან მჭიდროდ შეკავშირებული იქნება.

ოსმალეთი.

(საქარო. დეპ. სააგ.)

ქ. ხტამბოლი (კონსტანტინეპოლი) სისხლ დაუღვრელად მოკავშირეთა ჯარებმა დაიჭირეს. ქალაქში სრული სიწყნარეა.

საბერძნეთი.

(თბილისში მყოფ საბერძნეთის მისსიის ცნობა)

გემების აგება.

ინგლისსა და ამერიკაში საბერძნეთის ხარჯით 110000 საერთო ტონის ოცს ახალ გემს აგებენ.

კონტრრევოლუცია გერმანიაში.

(საქართ. დეპ. სააგ.)

გერმანიაში კონტრევოლუციაა. ბერლინში, დრეზდენსა, ლაიპციგსა და კილში დიდი სისხლის ღვრა მოხდა; მრავალი დაჭრილი და მოკლულია.

გენერალ კაპპის მხარეზე აღმოსავლეთი პრუსია, სილეზია, მეკლენბურგი და ბავარიის ნაწილი, მრავალი ცენტრები და ნავთსადგურები.

რაიხსტაგის არჩევნები ორი კვირის განმავლობაში მოხდება. რესპუბლიკის პრეზიდენტს ხალხი ამოირჩევს.

ახალი ამბები

სოფლად და ქალაქად.

❖ **სამხედრო მინისტრის გამგზავრება ყაზბეგს** ჩრდილო-კავკასიაში ბოლშევიკების შემოტევის შექმნილ მდგომარეობის გამო სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე გაემგზავრა ს. სტეფანწმინდას. (ყაზბეგში).

❖ **საქართველო - აზერბაიჯანის სატრანსპორტო ხელშეკრულობა** მთავრობამ საბოლოოდ დაამტკიცა საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის დასადები სატრანსპორტო ხელშეკრულობა.

❖ **სურსათი აჭარისთვის** მთავრობამ დადგინა სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთათვის მომარაგების სამინისტრომ ხელმისაწდომ ფასებში საჭირო რაოდენობის სურსათი გაგზავნოს.

❖ **ცხვრის გატაცება ხევიდან** ჩაჩნებმა ხევიდან 3000 ცხვარი გაირეკეს და სამი მწყემსი მოჰკლეს.

ან ცელი, როგორ ვჭქნით,
როგორ ვიხმაროთ გუთანი;
თუ ჩვენ საყვარელ ბათუმში
მტერი ჩაღგება მუხთალი!

გერმანია

გერმანია ოცდახუთი სახელმწიფოს კავშირია, რომელშიც შედის ოთხი სამეფო: პრუსია, საქსონია, ბავარია და ვიურტემბერგი, ექვსი დიდი საჰერცოგო, ხუთი საჰერცოგო, შვიდი სამთავრო, სამი თავისუფალი ქალაქი რომელიც გერმანიის კუთვნილებას შეადგენს.

შარშანდლამდე გერმანიას განაგებდა პრუსიის მეფე, იგივე გერმანიის იმპერატორი, რომლის უფლებაც შეზღუდული იყო რაიხსტაგით და კავშირის საბჭოთი.

ესენი სცემდნენ კანონებს; რაიხსტაგი ხალხის მიერ ამორჩეულ პირთა კრებულია, ხოლო კავშირის საბჭო შესდგებოდა ოცდახუთ სახელმწიფოს მთავრობათა და წარმომადგენელთაგან.

შარშან კი რევოლიუცია მოხდა, გადააყენეს გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე და სახელმწიფოს სათავეში სოციალისტები ჩაუდგნენ. ეხლა კიდევ მოხდა მეორე რევოლიუცია, რომელმაც ეს კოალიციური (შეკავშირებით) მთავრობა დაამხო. რევოლიუცია მთელი სიძლიერით ახლაც გრძელდება და ვნახოთ რა მოხდება.

ვინც კი გაიხსენებს ამ დიდ ომიანობას, უსათუოდ გაკვირვებით მოიხსენიებს გერმანიის სახელს. ათას ძლიერ მოპირდპირისაგან შემოხვეული ის იბრძოდა ლომივით. და თავისი საოცრებით აკვირვებდა ქვეყნიერებას.

გერმანია იყო გმირული სახელმწიფო მაგრამ გმირობა ცალკე რას გააწყობდა ასეთ ძლიერ მტრებთან, რო მისთვის ხელი არ შეეწყო მიწადმოქმედების განვითარებას და საქარხნო მრეწველობას, რომლითაც გერმანიას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გადაამეტებს.

მართალია მთაგორიანი გერმანია აც ისე ნაყოფიერია მაგრამ გერმანელი გლეხი, იქ მუშაობს ისე, როგორც ასწავლის მეურნეო გამოცდილება და ტეხნიკა.

მიწას ისა ჰხნავს ღრმად და თანაც მრავალჯერ ანაყოფიერებს. ასუქებს მარტო ნეხვით კი არა, არამედ ათასნაირ გვარჯილით, გუანოთი და სხვა და სხვა მარილებით.

ეს არის მიზეზი იმისა, რომ გერმანიაში დიდ მოსავალს იძლევიან ისეთი მწირი და ხრიოკი მიწები, რომელნიც ჩვენში სრულიად დაუმუშავებელი და გამოუსადეგარია.

სხვათა შორის უნდა მოგაგონოთ რომ გერმანიაში მიწას კი არ ასვენებენ, არამედ თესლსა სცვლიან.

გერმანელები ბლომად მისდევენ პურისა, ქერის, სიმინდის, ჭვავის, შვრიის და მრავალ საკვებ ბალახეულის თესვას.

მათში შემოღებულია წესი, რომლითაც მაგალითად ჭარხლისა და სხვა საკვებ ბალახებს სთესავენ მაშინ, როცა როცა ჭარხალს მოჰკრეფენ.

გერმანელები აგრეთვე მისდევენ მევენახეობას, ხილის ბაღების მოშენებას და მესაქონლეობას.

ტყეები გერმანიაში თვალის ჩინივით არის მოვლილი და გაწმენდილი. ტყეს ნაწილ-ნაწილ სჭრიან. დღეს ერთ ნაჭერს და ხვალ კი მეორეს. ამასთან ერთგან რო სჭრიან, მეორეგან ახალს აშენებენ. ეს არის მიზეზი, რომ გერმანიას დიდძალი ხე ტყე მუდამ გამოულეველი აქვს, ხოლო მდინარეები დაუშრობელი.

მაგრამ მარტო მეურნეობით გერმანია ვერ იცხოვრებდა თუ მას სარისტიანად არ ჰქონოდა დაყენებული მთამადნის საქმე.

ქვანახშირის დამზადებაში გერმანია ერთსა თუ ორ სახელმწიფოს არ ჩამოუვარდება, ხოლო რკინის დამუშავებაში მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ქვანახშირისა და რკინის მადნებით თუ მაღაროებით სავსეა გერმანია. ამას გარდა გერმანიის მიწაში მრავლად იშოვება ქარვა, ნავთი, მარილი, გრაფიტი და სხვა.

საოცარი სისწრაფით მიდის გერმანიაში დამამუშავებელი მრეწველობა. იშვიათია ისეთი პატარა ქალაქი, სადაც არ იყოს ქარხანა და ფაბრიკა.

საქარხნო მრეწველობაში პირველი ადგილი ლითონების დამუშავებას უჭირავს.

გერმანელი ყველაფერს თვითონ აკეთებს ნემსიდან დაწყებული ვიდრე ზარბაზნამდე.

არა ნაკლები ადგილი უჭირავს გერმანიაში საქიმიო მრეწველობას ე. ი. სიმჟავისა, მარილისა, საღებავისა და საპნის დამზადებას.

მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ არი განვითარებული შაქრისა და ლუდის მომზადება როგორც გერმანიაში.

გერმანიის საგარეო ვაჭრობამ მეტოქედ ინგლისი თუ იცის.

მის ზრდას ხელს უწყობს გერმანიის ძლიერი ფლოტი, რომელსაც ამ დიდ ომიანობაში დიდი სახელი გაითქვა და თამამად შეება ინგლისის ფლოტს, ქვეყნიერებაზე განთქმულს.

მთელი გერმანია დაქსელილია რკინის გზებით, ხოლო არც ერთი მივარდნილი სოფელი, სადაც ერთი ან ორი სკოლა არ იყოს უმაღლეს და სატეხნიკო ნასწავლებლებით გერმანია მთელ ქვეყნიერებაზედ ყველაზე განთქმულია. გერმანიის დიდი სახელგანთქმული ქალაქები ბერლინი, დრეზდენი, ლაიპციგი, ფრანკფურტი, მაგდებურგი, ესსენი, ჰამბურგი, კელნი, შტუტგარტი, მიუნქენი, სტრასბურგი, მიულჰაგენი, ლუბეკი, კილი, ბრემენი და სხ.

გამოსადეგი ცნობები.

შინაურიცხოვრება დაადამიანი.

ამას წინად ერთმა ექიმმა გამოიკვლია, რომ ქათმის ხუნაგი ადამიანსაც უჩენს ყელის ავადმყოფობას.

იგრეთვე შემჩნეულია რომ ხუნაგით ავადმყოფ ქათმის მომვლელ ადამიანებსაც გაუჩნდათ ეს სენი.

ამიტომ გვმართებს. დიდი სიფრთხილით მოვიქცეთ შინაურ ცხოველებს და ფრინველების მოვლის დროს

სიმინდის ნაგავი ძროხებისთვის

ამ ომიანობის დროს რუსეთში ძროხების საკვებად სიმინდის ნაგული შემოიღეს და მას მალე მეტად კარგი თვისება აღმოაჩნდა.

საზღვარგარეთაც მაშინვე მოინდომეს სიმინდის ნაგულის გაზიდვა რუსეთიდან მაგრამ ომიანობის გამო ეს მოუხერხებელი იყო.

საჭიროა, ჩვენმა გლეხმაც სცადოს სიმინდის დაფქული ნაგული და ეს შეურჩიოს მეწველ ძროხებს.

ისპანახის სარგებლობა

მეცნიერების აზრით ისპანახში ყოფილა საკმაო რკინა, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან საჭიროა და გვირჩევენ მის დათესვას.

პრასის მავნებლობა

დღემდე ქალაქად თუ სოფლად ჩვენში დიდ ხმარებაშია პრასა, რომელიც როგორც დამტკიცებულა თურმე დიდი საზარალოა ადამიანის აგებულობისათვის.

მეტადრე უმი პრასა ძალიან სწყენს ადამიანს. ამიტომ გვმართებს ხელი ავიღოთ პრასის მოვლაზე და მის ნაცვლად სხვა სარგებლიანი მწვანილი მოვიყვანოთ.

კვერცხის ნაჭუჭით სარგებლობა.

ხბორების, კვიცებისა და შინაური ფრინველის გასაზრდელად დიდი სარგებლობა აქვს თურმე კვერცხის ნაჭუჭს.

კვერცხის ნაჭუჭს აქვს ფოსფორი და კირის მარილი. მეტადრე ფოსფორი ბევრი შედის ცხოველების ძვალში.

ამიტომ კვერცხის ნაჭუჭი უნდა დავფქვათ და შინაურ ცხოველებსა თუ ფრინველებს ჩვეულებრივ საჭმელში ავურიოთ და ისე ვასაზრდოოთ.

ამიტომ კვერცხის ნაჭუჭს ტყუილაუბრალოდ ნუ გადაჰყრით და სცადეთ მისი ამნაირად გამოყენება.

მესხეთი.

ალბად გაგიგიათ ძველი ქართული შაირი:

„პირველ თქმულია ძველთაგან
სიდარბაისლე მესხისა;
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა მიმცემი რისხვისა;
პურადობა და ვაჟრობა
ქართლელსა არ ეზრახისა;
ომი და ლხინი კახისა
მოსაწონია კაცისა!“.

აქ თვალწინ გვიდგა მთელი საქართველო. აქ ყველას თავისი თვისება და ხასიათი აქვს, მაგრამ ყველას კი ერთი მიზანი—სამშობლოსათვის თავდადება და განწირვა.

ყველა თავის კუთხეში იცავდა სამშობლოს მოზღვავებულ მტრებისაგან. სამხრეთიდან მოსეულს მტერს ხმლით ეგებებოდა ბორჩალო ანუ საბარათიანო, როგორც უწინ ეძახდნენ; აღმოსავლეთით საინგილო და კახეთი; დასავლეთით მესხეთი და იმეირი საქართველო, ჩრდილეთით ქართლი და ხევ-მთიულეთი, არც ერთს არ ეძრახებოდა სახელიარც ერთი, არ ყოფილა სამშობლოს შემარცხვენელი.

თვითეული მათგანი იყო ბურჯი თავის ერისა და გული სამშობლოსი...

მაგრამ როგორც ოჯახში არის უფროსი ძმა, ისე ერშიც არის უფროსი ძმა, უფროსი კუთხე, რომელიც მთელ ოჯახს განაგებს, დაჰყურებს და მისთვის მტერსაც და მოყვარესაც პასუხს აძლევს

მესხეთი—იყო უფროსი შვილი და იმედი სრულიად საქართველოსი.

ის მესხეთი—სადაც სცხოვრობდა „დარბაისელი და სწავლით ქებული მესხი“, სადაც დაირწა შოთა რუსთაველის აკვანი და სადაც თვითეული მტკაველი მიწა შეღებილია ჩვენი წინაპრების წმინდა სისხლით.

განვლეს მძიმე საუკუნოებმა, თავისი კვალი და დღეს ეს ჩვენი უფროსი ძმა გალახული და დაცემულია. დიდი ხანია მისი გამოცდილი და იმედიანი სიტყვა არ გვესმის; იქ სადაც შოთას აკვანი ირწეოდა, დღეს იქ თარაქამის თათრებს ფარეხები აქვთ დამართული და სადაც ქართული, ლამაზი, მწყობრი სიმღერა გაისმოდა, ეხლა იქ გადამთიელები ზინადრობენ და წინაპართა საფლავს გვიგინებენ.

გეტკინა გული არა, ჩემო მკითხველო? შენ იქნებ მარტო დღის გაიგე შენი უბედური ძმის ბედ-იღბალი? შენზე იზრუნველობამ, შენზე ფიქრმა და მოვლამ თან გადიყოლა. გინდა არ ჰნახო იგი? მწყურია არა მისი სიტყვის გაგონება?

მაშ მომყე:

ხომ გაგიგონია: ახალციხე, ახალქალაქი, ფარავანის ტბა, ჯავახეთი, ბათუმი, არტაანი? ესენი სულ მესხეთის ნაწილები არიან!

ალბად გაგეგონება ერთი შაირიც:

მე ჯავახეთს რამიშავდა
მთვარე მედგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა!“

ხო, ეს იყო იმ კურთხეულ დროში, როცა იქ ცხოვრობდა ბედნიერი ქართველი და იმედიანად ღიღინებდა.

ძველ საქართველოს ისტორიაში მთელი მესხეთი სამ ნაწილად არი ვაყოფილი. პირველი იყო: ზემო ქართლი, რომელსაც შეადგენდნენ: სამცხე, გურია, არტანუჯი, ოლთისა, ლიგანი, შავშეთი და ტაოსკარი. მეორე ნაწილს: ერქვა ჯავახეთი, რომელშიც იყო: ჯავახეთი. არტაანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი ნაწილი.

მესამე განმარტებელი ნაწილი იყო ევრედწოდებული კლარჯეთი, მასი საუკეთესო ადგილები იყო: თორთუმი, ხახული, ისპირა, ჰანეთი და ფორჩხა.

მთელი მესხეთი მომწყვდეული იყო მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში, გარდა ჰანეთისა.

ამ ორი მდინარის კიდეზე ჰყვაოდა მესხთა დარბაისლური და მშვიდი ცხოვრებმა ამ მდინარეებს აწითლებდნენ მტრების სისხლით..

თვითონ მესხეთი მთა-გორიანია, კლდოვან-ღრაჭიანი. მისი დიდი მთებია: ფერსათი, პარხალი, არსიანი, მესხის მთა და ჰანეთის მთა.

მესხეთში ადგილ ადგილ ზამთარი ცივია, დიდ-თოვლიანი, ადგილ-ადგილ თბილი, ცხელი, გაუსაძლისი. წყაროები ცივი, გემრიელი და შემრგო, უფრო ამდიდრებენ მესხეთის ისედაც მდიდარ ბუნებას. მესხეთის ბუნება განთქმულია.

ყოველი მარცვალ ნაყოფიერობა და მრავალი ხილი ხარობს აქ. უფრო ბლომად არი: ფორთოხალი, თურინჯი, ზეთისხილი და სხვა. აქაურობა შემკულია ლამაზი ბაღჩებით და სავარდეებით.

პირუტყვი მრავალია—ფრინველები ურიცხვი, მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარნი, ტბები თევზით სავსე; უფრო კი კალმახია ბევრი. ფუტკარი მრავალი და თაფლიც კარგი. აქაური კაცნი თუ ქალნი: ტანოვანნი, მხნენი, სწავლა-განათლების მოყვარენი მაგრამ ბედის წყალობით გათათრებულები არიან, თუმცაენა ისევ ქართული აქვთ შერჩენილია მესხეთშია დარჩენილი მრავალი ძველი ეკლესიები: ოპიზი, ხანზთა, ხარზმა, ოშვი, ვომხი, აწყური, ტბეთი, კუმურდო, ანჩა, პარხალი, ტაძრისი, წურწყაბლი, წყაროსთავი, იშხანი, ერუშეთი, ვალაბკერტი, ანი, კარი, ბანა, დადაშენი და სხვა.

ესენი იმათი სალოცავებია, რომელნიც დღეს აღარ არიან; სამშობლომ იმსხვერპლა იგინი, ხოლო მათმე შვილებმა რჯული გამოიცვალეს გათათრდნენ, ოსმალეთის ძალადობით.

მესხეთი რაც უძველეს ხანებში, ქრისტეს დაბადებამდე იყო განთქმული. ძვე[ლ]ის ძველი უცხო ერები, როგორც ფინიკიელები და ეგვიპტიელები აქ ეცნობიან მადნეულობის შემუშავებას.

აქ იყო დამუშავებული ვენახები, ჯერ ათას ცხრაასის წლის წინად და უფრო კიდევაც ადრე აქ იდგა კრამიტით გადახურული მშვენიერი სახლები და სხ.

მესხეთიდან იყვნენ დიდი მწერლები: შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი, დიდი მწერალი ბერაიი, გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე, რომელმაც მრავალი ბერძნული წიგნი გადმოთარგმნა ქართულად. აქ ცხოვრობდნენ საქართველოსთვის თავდადებული მეფეები: გურამი, აშოტი, დავითი, ბაგრატი და სხ.

მესხეთის ქალაქებია; ართვინი მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, არტაანი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, აწყური, ბათუმი, ბაიბურთი, არალეთი,, გოკია, გომი, თმოგვი, თუხარისი, კოლა, ოლთისი, მედა, ოძრახე, ქობულეთი და მრავალნი სხვანი

სანამ მონგოლები (თათრები) შემოესეოდნენ საქართველოს, მესხეთი იყო პირველი კუთხე საქართველოსი—ავსილი მოსახლეობით, განათლებული და მდიდარი. „ვეფხვის - ტყაოსნის“ დამწერი შოთაც აქედან იყო სოფელ რუსთავიდან ასევე მრავალი ქართველი მწერალ-ნასწავლი და ფილოსოფოსი კაცი,

მონგოლების შემოსევის შემდეგ საქართველო გაიყო ნაწილ ნაწილებად და მესხეთიც მისი და ქინიანი მმართველებიც წყალობით ცალკე გადგა, დაირღვა მთლიანება საქართველოში. გაგიგონიათ ქართული ანდაზა: „ასი ერთსა მცემდეს, რა მოუხერხო“? ო ასე მოუვიდა საქართველოსაც. ქართლ-კახეთი, სპარსეთმა დაიჭირა, ხოლო მესხეთი კი ოსმალეთმა. ორივე მტრის მიზანი იყო ეს ორი საუკეთესო ნაწილი გაეთათრებინათ და აკი ისეც ჩაიდინეს. სპარსეთმა კახეთის ნახევარი—საინგილო გაათარა, ხოლო ოსმალეთმა მესხეთი. მესხები დიდხანს არა ჰნებდებოდნენ, სრულ სამასი წელიწადი ინახავდნენ თავიანთ ენას, რჯულსა და ადათს. მაგრამ თათრები კალიასავით მოედნენ მით ქვეყანას, სიკვდილით სჯიდნენ, ვინც ღვთიშობლის ხატს არ მიაფურთხებდა და არ გათათრდებოდა, ათას ექვსას ოცდა ცრა წელს მთელი მესხეთი ჩამოსწყდა საქართველოს და გათათრდა ამიტომ დღეს ამ კუთხეს ეძახიან „სამაჰმადიანო საქართველო“-ს.

ამასთან მრავალი ქართველი გადიხვეწა თვითონ ოსმალეთში, ნაწილი სურვილით, ნაწილი ძალადობით.

მესხეთი მოსწყდა საქართველოს მკერდს და საქართველოს კარები დასავლეთიდან გაიხსნა.

ძველი მესხი საქართველოს დარაჯად ედგა დასავლეთით, საიდანაც დიდი საფრთხე მოგველოდდა ყოველთვის. ასევე იყო სავაჭრო გზა და ამ ადგილს როგორც წინად ისე ახ აც აქალებ-მიცემის თვის დიდი მნიშვნელობაიყვნენ

თვითონ მესხები

ხალხი, კეთილშობილი, უეშმაკო ნიჭიერ სათავისო. მათ მთელ საქართველოდა არ ფინეს სწავლა-განათლება და საქარ მოლოს გარედაც გაითქვეს სახელი. ომშვე პირველები იყვნენ მუდამ ისტორიას არ ახსოვს ჯერ გამოქცეული და სამშობლოს გამცემი მესხი.

საუკეთესო ხელოვნება მათში ჰყვოდა

ერთი სიტყვით—მესხეთი იყო ტვინი და ხერხემალი საქართველოსი. დღეს განგებამ წაგვართვა მესხეთი, დღეს ამ კუთხეზე ჩამორჩენილი და უვიცი კუთხე არც ერთი არ არი საქართველოში. ეს ოსმალეთის დიდი ხნის ბატონობის ბრალია. მესხეთში ჩაჰქრა განათლების ლამპარი! სრული სამასი წელიწადია, რაც მესხეთი ჩუმად არის. არც ერთხელ არ ახმაურებულა.

მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ აქ ნაცარში ჩამალულია საქართველოს ნაპერწკალი, რომელიც ახლა იწყებს ბჟუტვას, დაცემას მისდევს და სიკვდილს სიცოცხლე!

ეს გვახსოვს და ესევე გვაიმედებს, რომ სულ მალე მესხეთიც დააზწევს თავს სიბნელეს, სახელოვანი მესხი გვერდით ამოგვიდგება სიყვარულით და მტერსაც და მოყვარესაც ისევ, ძველებურად პასუხს ერთად გავცემთ. სწავლა, განათლება აქ ისევ აყვავდება და მესხის სახელი ისევ მოედება ქვეყნიერებას, მანამდე კი ვეცადნეთ ჩემო მკითხველო, ბევრი ვიფიქროთ და ვილონოთ მესხეთისთვის ურომლისოდაც—„მზე არა მზეობს. დარი არ დარობს დარულად!“. გორგასლანი.

რედაქტორი ნ. კაიშაური.

სტამბა ამხ. „ხელოვნება“ ველიამინოვის ქუჩა № 20·